გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

გორის მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**

„ძლიერი ქალი - უკეთესი მომავლისთვის“.

მარტის ქალთა კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მრგვალი მაგიდა თემაზე „ძლიერი ქალი - უკეთესი მომავლისთვის“. ეს ღონისძიებაც იყო ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისისა და გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთობლივი ღონისძიება. მრგვალი მაგიდა მთლიანად მიეძღვნა ქალთა განვითარებას, განათლებას, დასაქმების ხელშეწყობას, რადგან იმისთვის, რომ იყო ძლიერი ქალი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არის გქონდეს განათლება. ქვეყნის სიძლიერისთვის საჭიროა ორივე სქესის თანაბარი განვითარება, თანაბარი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, დასაქმებაზე. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას, სიღარიბის დაძლევას, თანასწორი საზოგადოების ჩამოყალიბებას. განათლებული ქალი უფრო დაცულია, უფრო თავდაჯერებული, დამოუკიდებელი, იცის საკუთარი უფლებები და შეუძლია თავის დაცვა, არ არის დამოკიდებული სხვაზე, რეალიზებულია და აქვს შანსი იყოს წარმატებული. ჩვენს ირგვლივ ბევრი ქალია, რომელსაც მოუწია სწავლისთვის თვის დანებება, მაგ. ოჯახის შექმნის გამო. ამიტომ სხვადასხვა პროფესიების ან დამატებით სხვა პროფესიის დაუფლებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი წარმატებისთვის.

2. **თემატიკა:**

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა ელექტრონულად და მას ესწრებოდა როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. ღონისძიების მიზანი იყო ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა. მოწვეული გვყავდა პროფესიული სასწავლებლების, პროფესიული განვითარების ცენტრის, ქალთა განვითარების, განათლებისა და დასაქმების ცენტრის და დასაქმების სააგენტოს წარმომადგენელი, რომლებმაც ისაუბრეს ქალთა განვითარებისა და განათლების მნიშვნელობაზე და ისაუბრეს საკუთარ სერვისებზე. ევროკავშირის წარმომადგენელმა გამოცდილების გაზიარების მიზნით ისაუბრა ესტონეთის მაგალითზე.

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, მდივანი ვერა ბიწაძე.

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:**

გორის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ცხინვალი. მისი სოფლების დიდი ნაწილი

ოკუპირებულია რუსეთის მიერ. გორში ბევრია დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა. მოსახლეობა - 122 000 კაცი.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესაძლებლობები და ა.შ.;
- **გარე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;

6. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დიდი ნაწილი არის უმუშევარი და დამოკიდებულია ხშირად მოძალადეზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინ „ოჯახის შექმნის გამო“ ქალის, გოგონას მოტაცება ჩვეულებრივი ამბავი იყო. იტაცებდნენ გოგონებს ჯერ კიდევ სკოლის ასაკში, ასეთი გოგონების სწავლა და განვითარება მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე, როგორ ოჯახში მოხვდებოდა და იყო თუ არა ახალი ოჯახის წევრებისთვის მნიშვნელოვანი „ნასწავლი“ რძალი. ბევრ სტუდენტს გათხოვების მერე მიუტოვებია სწავლა უმაღლეს სასწავლებელში. რადგან საოჯახო საქმეების გადანაწილება ცოლსა და ქმარზე ერთნაირად არ ხდება და ოჯახის მთელი სიმძიმე ქალზე მოდის, ბევრ ქალს მიუტოვებია სამსახური შვილების, ოჯახის გამო. ასეთი ქალები და ქვეყნის ეკონომიკა ცალ-ცალკეა, არა და მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის საქმეში. ჩვენი მიზანია გვყავდეს ბევრი განათლებული, განვითარებული და დასაქმებული ქალი. ამიტომ გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა მრგვალი მაგიდა, სადაც ვისაუბრებდით ამ მნიშვნელოვან საკითხებზე და მივაწოდებდით ინფორმაციას ქალებს. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა ხდება სხვა ქვეყნებში და როგორი მდგომარეობაა ქალთა დასაქმების და განათლების მხრივ. ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ უცხო ქვეყნის გამოცდილების გაზიარება.

7. **განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:**
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

მრგვალი მაგიდა „ძლიერი ქალი - უკეთესი მომავლისთვის“ ჩატარდა ონლაინ, ზუმის ფორმატში 2021 წლის 12 მარტს, მარტის ქალთა კვირეულის ფარგლებში შემდეგი თანმიმდევრობით:

მისალმება, მრგვალი მაგიდის შეხვედრის გახსნა, ქალთა განათლებისა და დასაქმების მნიშვნელობა - ვერა ბიწაძე - შეხვედრის ორგანიზატორი;

მისასალმებელი სიტყვებით ასევე წარდგნენ:

მარეკ შიგელი - ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში, მან მადლობა გადაუხადა ორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთობლივი ღონისძიების დაგეგმვაში და ჩატარებაში;

დავით რაზმაძე - გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარე;

მამუკა საღარეიშვილი - გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი;

კონსტანტინე თავზარაშვილი - გორის მუნიციპალიტეტის მერი.

გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საგანმანათლებლო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი სერვისები ქალთა განათლების, განვითარებისა და დასაქმების ხელშესაწყობად - ამ საკითხზე მოხსენებები გააკეთეს და საკუთარი სერვისების შესახებ ისაუბრეს პროფესიული კოლეჯი „განთიადი“ ხელმძღვანელმა, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორის მოადგილემ, განათლების, განვითარებისა და დასაქმების ცენტრის ხელმძღვანელმა და დასაქმების ხელშეწყობის სააგენტო ხელმძღვანელმა.

ქეით ფეარონმა - საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, როგორც წარმატებულმა ქალმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ მიაღწია წარმატებას და რა უნდა გააკეთოს ქალმა იმისთვის, რომ იყოს წარმატებული.

ვირვე ტონემ - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის მონიტორმა ისაუბრა უცხო ქვეყნის გამოცდილებაზე და მაგალითად განიხილა ესტონეთში ქალთა როლი ქვეყნის ეკონომიკაში.

მრგვალი მაგიდის შეხვერდა საინტერესო გამოვიდა დამსწრე საზოგადოებისთვის, გაიმართა დისკუსია, შეკითხვებს პასუხობდნენ როგორც ქართველი, ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები. დასასრულს, ღონისძიება შეაჯამა მიჰაელა გერასიმმა - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის ხელმძღვანელმა და გამოთქვა სურვილი, ხშირად ჩატარდეს ერთობლივი ღონისძიებები გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ევროსადამკვირვებლო მისიის გორის ოფისს შორის.

- **პროექტის შინაარსი;**
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი** (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);
- **პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების**

ჩამონათვალი (მუნიციპალიტეტის რელევანტური სტრატეგიული დოკუმენტები, განვითარების გეგმა, ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, შეხვედრის ოქმები, ინსტრუქციები და ა.შ.). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

- **ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების** (მ.შ. მიზნობრივი და მოწყვლადი ჯგუფების, უმცირესობების, ქალების, ახალგაზრდების, ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების, დასახლების საერთო კრების, მერის მრჩეველთა საბჭოს, კერძო სექტორის წარმომადგენლების, საჯარო დაწესებულებების და სხვა) **ჩართულობის შესახებ;**
- **ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**
  ა) ადამიანური რესურსი - საკუთარი/არასაკუთარი;
  ბ) ფინანსური - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი/დონორის დახმარება;
  გ) გამოყენებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი;
- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა (მათ შორის გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა) ქალებმა და გოგონებმა მიიღეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია უფასო სასწავლო პროგრამებზე პროფესიულ სასწავლებლებში და პროფესიული განვითარების ცენტრში, ასევე იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის ქალთა ჩართულობას და მონაწილეობას ეკონომიკურ პროცესებში, ასევე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს როგორ ადგილზე, ასევე საზღვარგარეთ დასაქმებაზე.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

გორის მუნიციპალიტეტში ბევრი ქალი ცხოვრობს, რომლებმაც ადრეული ქორწინების გამო მიანებეს სწავლას თავი და დარჩნენ საშუალო განათლებით, ასევე ქალები, რომლებმაც სამსახურს დაანებეს თავი საოჯახო საქმეების გამო. ასეთი ქალებისთვის კარგი შესაძლებლობაა ახალი პროფესიის დაუფლება, მათ ინფორმირებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ასეთი შეხვედრების სიხშირე ხელს შეუწყობს მათ მიიღონ განათლება და დასაქმდნენ შესაბამისად, არ იყვნენ დამოკიდებული ოჯახის სხვა წევრზე. ამით ისინი გახდებიან უფრო დამოუკიდებელნი და დაცულნი.

10. საკრებულოს როლი:

აღნიშნული ღონისძიება იყო გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისის ერთობლივი ღონისძიება. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 17 წევრი ამავე დროს არის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრიც. აქედან გამომდინარე, საკრებულოს წევრები ჩართულნი იყვნენ აღნიშნულ ღონისძიებაში.

11. **პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთან დაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**

    თვითონ საკითხი, ქალთა განათლება, დასაქმება და განვითარება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საკითხზე აუცილებლად გავაგრძელებთ მუშაობას. გვაქვს ჩანაფიქრი, რომელსაც მოგვიანებით გაგანდობთ და მოგიპატიჟებთ პრეზენტაციაზე. აღნიშნული ჩანაფიქრი ხელს შეუწყობს დასაქმებული ქალების გარკვეულ რაოდენობას გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი.

12. **საკონტაქტო ინფორმაცია:**
    - **განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები:** ვერა ბიწაძე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე, გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი, მდივანი. ტელ: 599 85 29 23; ელ. ფოსტა: kavkavery@gmail.com
    - **პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები**: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის ოფისი.

13. **თანდართული დოკუმენტების/მასალების სია**

    დღის წესრიგი.

განაცხადის მიღების ვადაა 2022 წლის 18 მარტი.

• **შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ელენე ჩხეიძეს ტელ.: 555 23 53 33 echkheidze@nala.ge